



ვლადიმერ ვიქტორის ძე მალოვიჩკო-დგებუაძეს CV, დაბადებიდან 2000 წლამდე.

დავიბადე

1939 წლის 11 აგვისტოს თბილისში, არქიტექტორ ვიქტორ ლეონიდის ძე მალოვიჩკოს და მუსიკის მასწავლებლის, ნინო (ქაია)ალექსანდრეს ასული დგებუაძის ოჯახში.

1957 წელს, ოქროს მედალზე დავამთავრე თბილისის ერთერთი რუსული სკოლა და მოვეწყე სპი-ში, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე, სპეციალობა: "სამთო ელექტრომექანიკა".

1958 წელს, სპი-ს ხელბურთის ნაკრები გუნდის ("ქარიშხალა") შემადგენლობაში, გავხდი საქართველოს ჩემპიონატის ხელბურთში (11 X 11); ამავე წლის ზამთარში, სპი-ს ნაკრების შემადგენლობაში,- საქართველოს სტუდენტური ჩემპიონატის ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სპორტში.

1959 წელს, დამატებითი მიღების შედეგად, გადავედი მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლის (МВТУ им.Н.Э.Баумана) ხელსაწყოთა მშენებლობის ფაკულტეტზე, რომელიც 1963 წელს დავამთავრე. სპეციალობა: "მათემატიკური და საანგარიშო-გამოთვლითი ხელსაწყოები და მოწყობილობები".

1963-1966 წლებში, განაწილებით ვიმუშავე ВНИИЭМ-ში, მოსკოვში, ინჟინრის თანამდებობაზე, ციფრული მაგნიტური მემორიზაციის შექმნის საკითხებზე.

1966-1972 წლებში კი ЦМНИИ-ში (საკავშირო გემშენებლობის სამინისტრო), უფროს ინჟინრად, წამყვან ინჟინრად და უფროს მეცნიერ მუიშაკად, სადაც უხელმძღვანელო სამხედრო წყალქვეშა ნავების, ატომური რაკეტებიების, "შავი ყუთი"-ს შექმნას.

1969 წელს, ЦМНИИ-ს სამეცნიეროს საბჭოზე, დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია სპეცთემაზე და დავამთავრე გემშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტი.

1972 წელს, მიუხედავად საკავშირო კომკავშირის მიწვევისა მეცნიერ ახალგაზრდებთან მუშაობის განყოფილების უფროსათ, დავბრუნდი საცხოვრებლად თბილისში და 1977 წლამდე ვიმუშავე საქართველოს ავტოტრანსპორტის სამინისტროს გამოთვლით ცენტრში, განყოფილების გამგის და მთავარი ინჟინრის თანამდებობებზე, რა დროსაც დავაპუშავე საქართველოს ავტოტრანსპორტის დარგობრივი მართვის ავტომატიზირებული სისტემა ОАСУ Грузавтотранс, რომლის დანერგვამ მოწონება მოიპოვა და მივლინებული ვიყავი საკავშირო საგეგმო კომიტეტში, მოსკოვში (ГОСПЛАН СССР), სადაც ვიმუშავე საგეგმო გათვლების ავტომატიზირებული სისტემის, АСПР-ის დასრულებაზე.

1974 წელს საქართველოს მთავრობის დავალებით შევექმენი საქართველოს მინისტრთა საბჭოს და პარტიის ცკ-ს საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრი (სგც), რომლის უფროსი გავხდი. ამავე წელს, სამსახურიდან თავისუფალ დროს, ყოფილ

პიონერთა სასახლეში, გაეხსენი ნორჩ მოთხილამურეთა ჯგუფი, სადაც ვასწავლიდი თბილისელ ბავშვებს დამოზარდებს თხილამურებზე სრიალს.

1975 წელს, როცა, სამი თვის შემდეგ, ჯგუფში 30 ბავშვის და მოზარდის მაგივრად 300 მოვიდა, საქართველოს განათლების სამინისტრომ, ჩემი ინიციატივით და საქართველოს ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, გახსნა ბავშთა და მოზარდთა სამთო-სათხილამურო სპორტული სკოლა, სადაც შეთავსებით (ძირითადი სამსახური, - მინისტრთა საბჭოს და პარტიის ცკ-ს სგც იყო), საათობრივ წვრთნელ-მასწავლებლათ გამაფორმეს. სწორეთ ამ სკოლის პირველმა დირექტორმა, ზურაბ ზაქარიას ძემაისურამემ, და სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელთა ჯგუფმა: ვლადიმერ მალოვიჩკო, ვახტანგ მიქელაძე, ლევან ლორთქიფანიძე, გოგი ჭიჭინაძე, ნუკრი კოტრიკაძე, სკოლის ბაკურიანიდან გამეგვების შემდეგ (კონკურენცია), თავისი ხელით დააყენა, ბაკურიანიდან წამოღებული საბაგირო გზა БП-1000, მთა ცივზე (ქ. თელავის თავზე).

უთოვლობის და გუდაურის აღმოჩენის გამო, ეგ საბაგირო დემონტირებული და გადატანილი იყო გუდაურში, სადაც სპორტსკოლის ჯგუფმა, ისევ თავის ხელით, დადგა პირველი დიდი საბაგირო გზა გუდაურში. თავის აქტიური საქმიანობით, ჯგუფმა დააინტერესა მაშინდელი საქართველოს პარტიის ცკ-ს ხელმძღვანელობა, კერძოთ, სულიკო ხაბეიშვილი, რომელმაც შევარდნაძემ "მწვანე შუქი" ანთებინა გუდაურში ოლიმპიური ბაზის მშენებლობისთვის, რის შედეგადაც 3 წლის განმავლობაში აშენდა მსოფლიო მასშტაბის ზამთრის სპორტული კურორტის პირველი რიგი, რომელიც ორიენტირებული იყო მომავალში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად გუდაურში.

სწორეთ ამ პერიოდში ჩემს მიერ მოხდა მოთხილამურე ბავშვების ჯგუფების გაცვლა საქართველოსა და ავსტრიის შორის: საქართველოს ორმა ჯგუფმა ორჯერ მოასწრო ავსტრიაში გამგზავრება სავარჯიშოთ. ავსტრიელების მხოლოდ ერთი ჯგუფის წამოყვანა მოხერხდა საქართველოში. იმათ პირადათ მე შევხვდი მოსკოვში და თბილისში ჩამოვიყვანე.

1976 წელს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მიერ, მივლინებული ვიყავი 6 კვირით ლოს-ანჯელესში (აშშ), სგც-სთვის შესყიდული, ფირმა "Data General"-ის მინი ელექტრო-გამოთვლითი მანქანის, "ეკლიფს C/300"-ს შესასწავლად.

1980 წელს, მივლინებული ვიყავი 4 კვირით ტოკიოში (იაპონია), შესყიდული დისპლეის (ფირმა "General"), ნემსებიანი საბეჭდი მოწყობილობის (ფირმა, "JUKI") და ფირმა "SONY"-ს ვიდეოაპარატურის შესასწავლად.

1982 წელს მივლინებული ვიყავი 4 კვირით კიოლნში (FRG), ფირმა "Universal Export"-ისგან შესყიდულ მიკროფილმების აპარატურის შესასწავლად.

1983 წელს, სგც-ში, ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელობით, ორმა ჩვენმა (ზაზა მათიკაშვილმა და ვოვა ფაინერმანმა) და ერთმა იაპონელმა სპეციალისტმა (კაკუ ნაკანისიმ) პირველად საქართველოს და მსოფლიოს ისტორიაში, ქართული ენა (შრიფტი), ჩავსვით" ჩვენ მინი-კომპიუტერებში და, ჩვენს მიერვე დამუშავებული

კომპიუტერული სისტემა INFAS-ის დისპლეი და საბეჭდი მოწყობილობა, ქართულ ენაზე "ალაპარაკდენ".

უნდა ითქვას, რომ INFAS-ი ძალიან ეხმარებოდა საქართველოს ხელმძღვანელობას დავალებების შესრულების კონტროლში, მოსახლეობის წერილების განხილვაში და მათი მსვლელობის კონტროლში, კადრების მოძრაობის კონტროლში და სხვა.

მას წამებში გამოჰყავდა 150 აბონენტის სამუშაო ადგილზე INFAS-ტელევიზორის ეკრანზე და ქალაქდზე დაბეჭდილ მჭკვეთილი საბუთების ანოტაციების ასლები, საბუთების ორიგინალების ასლების ფოტოები (რომ ჩანდეს ვისი ხელით არის დაწერილი რეზოლუცია), საკუთარი მიკრო ტელესტუდიის ვიდეოკადრები. ვიდეოაპარატურის საშუალებით, ნებისმიერ INFAS-ის აბონენტს შეეძლო ნებისმიერ სხდომაში დისტანციური მონაწილეობა მიეღო და საკუთარი მინიტელეცენტრის გადაღებული ვიდეომასალების ნახვა, თავის სამუშაო ადგილზე.


1986 წელს, კონკურსის გზით, მოვეწეე სპი-ში, რადიოტექნიკის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე. ვკითხულობდი ჩემს მიერ შექმნილ კურსებს: „მიკროპროცესორები“ და „რადიოელექტრონული აპარატურის წარმოების ტექნოლოგია“.

1992 წელს, შეთავსებით, დავიწეე მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლად შექმნილ კოოპერატივში "ივერია-პროგრეს"- ში, რომელმაც დამავალა, ზესტაფონის წიდიდან სეპარატირებული 200 ტონა სილიკომარგანცის გატანა იაპონიაში, რაც იმდენათ კარგათ შესრულდა, რომ იაპონიის მხარემ საქმის გაგრძელება და გაფართოება მოითხოვა, რისთვისაც „ივერია-პროგრესმა“,

1993 წელს, ზესტაფონის ფერო-შენადნობების ქარხნის დაფინანსებით, იაპონიაში (ტოკიო) მიმავლინა, სადაც მოვაწერე ხელი 7-მილიონ დოლარიან კონტრაქტს ფირმა "კინშო მატაიჩი"-სთან. სამწუხაროთ, საქართველოში არეულობის გამო, ეს კონტრაქტი ჩაიშალა. ამავე მიზეზით ჩაიშალა ჩემი და იაპონიის წარმომადგენლის, ბატონ ომურაჰის მოზადებული კონტრაქტის ხელმოწერა ქუთაისის ავტოქარხნისა და ფირმა "მიცუბისი მოტორს"-ის შორის, რომლის შეთანხმად ქუთაისი იწყებდა აკრეფას "მიცუბისი მოტორს"-ის ჯიპების და მიკროავტობუსების "L-200".

ამასობაში დადგა 2000 წელი, როცა ე. შევარდნაძემ, ჩემ ახალ პროექტს: „დიდი აბრეშუმის გზის დაღაშქრვა საჰაერო ბურთებით“, დაადო რეზოლუცია: „ძალიან საინტერესო პროექტია, მაქსიმალურად დაეხმარეთ, ყველაფერი კარგათ გაიფიქრეთ“, კულტურის, ტურიზმის, სპორტის და სხვა ხელმძღვანელებს): ე. შევარდნაძე მაშინ პროექტ TRASECA-თი იყო გატაცებული.

გმადლობთ ყურადღებისთვის !



17.05.2018

+995 568 714 310